

ფეხბურთი

№036
(12 106)

14 თებერვალი ოთხშაბათი 2007
გამომცემის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



საქართველოს
ფეხბურთის
ბიზნისი

● ფეხბურთი



**შაშიაშვილის
საში
პარიანტი 3**

● კრივი



**პერაზა 11
ჩხუბია,
პირსახოცი
ჩააგდეთ!**

საპარტოვლოს
ჩაგვიონატი

● საკითხავი

მალხაზ ასათიანის მოწოდება



**დახვავი
არაფარი
გვიჭირს, წინ
შირჩევნია!**

ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი, ყაზახეთი

პირველი მატჩები ესპანეთშია. სებრტი ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრობს



პეტარ სევრტი ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე

21 - წლამდელთა, ახალგაზრდული ნაკრებებს შორის ევრო-2009-ის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გუშინ სტოკჰოლმში შედგა. მეოთხე კალათაში განთესილი საქართველო მე-4 ჯგუფში აღმოჩნდა და მეტოქეებად ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი, ყაზახეთი ერგო. სულ კი 51 მონაწილე ათ ჯგუფში გადანაწილდა.

- რთულ ჯგუფში მოხვდით. ესპანეთის, რუსეთისა და პოლონეთის სახით ძლიერი მეტოქეები გვყავს, მე-5 კალათიდან კი ყაზახეთის სახით არც ისე სუსტი გუნდი გვერგო მონაწილედ გვადგინა. ჯგუფის ფავორიტი ესპანეთია, ჯგუფიდან გამსვლელი მეორე საგზურისთვის კი ჩვენ, რუსეთი და პოლონეთი ვიბრძობებით. თუმცა, ესპანეთის წინააღმდეგ წინასწარ ფარ-ხმალი არ უნდა დაგვაროთ. - წილისყრის შემდეგ განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტარ სევრტმა.

გუშინვე შედგა შესარჩევი ტურნირის განრიგიც:

- 05.06.2007. საპარტოვლო-საპანეთი
- 22.08.2007. პოლონეთი-საპარტოვლო
- 07.09.2007. საპარტოვლო-ყაზახეთი
- 11.09.2007. ესპანეთი-საპარტოვლო
- 16.10.2007. ყაზახეთი-საპარტოვლო
- 20.11.2007. საპარტოვლო-რუსეთი
- 05.09.2008. რუსეთი-საპარტოვლო
- 10.09.2008. საპარტოვლო-პოლონეთი

ათი ჯგუფიდან ცხრა 5-გუნდიანია, პირველ ჯგუფში კი 6 გუნდია. ჯგუფურ რაუნდიდან, რომელიც მიმდინარე წლის 2 ივნისიდან 2008 წლის 10 სექტემბრამდე გასტანს, მომდევნო ეტაპზე ჯგუფის გამარჯვებულებთან ერთად, 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა. მეორე ეტაპზე ამ 14 გუნდიდან ფლეი-ოფის სისტემით, 7 გამარჯვებული გამოვლინდება, რომელსაც მეორე გუნდად ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძელი შვედეთი დაემატება. ფლეი-ოფი გაისაღ 11-12 და 14-15 ოქტომბერს გაიმართება, ფინალური ეტაპი - 2009 წლის ზაფხულში, შვედეთში.

დიდგადა დიდგადაზის კაპიტანად



გუშინ თბილისის დინამო ახალწვეულები წარადგინა. ერთ-ერთი მათგანი, დავით დიდგელაშვილი მწვრთნელმა დუმან უპრინმა გუნდის კაპიტანად დანიშნა. მარცხნივ - კლუბის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე

სამან იუსაშვილი/სამან



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინეთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

ფეხბურთი



ახალწვეულები: დავით დიღმელაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, მიროსლავ კრშკო, ნედ ზელიჩი



დუმან უპირინი და კახა კაჭარავა

მეორე წრის წინ

დინამო ახლები წარადგინა

კაპიტანი დიღმელაშვილია

ბუშნის თბილისის "დინამოს" ბაზაზე კლუბის ხელმძღვანელობა მედიის წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მომზადარი სიახლეების შესახებ ისაუბრა და საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა გუნდის ახალწვეულები. მოკლედ პრესკონფერენციაც გამოვიდა და პრეზენტაციაც.

ბუბა ტყავაძემ და ამირან ლიბრაძემ კლუბის ახალწვეულებს მუდმივ-ნომრებიანი მაისურები გადასცეს:

დავით დიღმელაშვილი №81, გიორგი ფეიქრიშვილი №28, მიროსლავ კრშკო №16, ნედ ზელიჩი №24

იქვე გაცხადდა, რომ გუნდის ახალი კაპიტანი დიღმელაშვილი იქნება.

გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების მისვლის შემდეგ შოთა კაშიას თავადვე უთქვამს უარი კაპიტნობაზე. დიღმელაშვილის კანდიდატურა კი "დინამოს" მთავარ მწვრთნელ დუმან უპირინს წამოუყენებია.

პრეზენტაციას პრესკონფერენცია მოჰყვა და დინამოელებმა მასმედიელთა კითხვებს უპასუხეს.

- გუნდმა მზადება უკვე დაასრულა. მოსამზადებელ ეტაპს როგორ შეაფასებდით?

დუმან უპირინი - ჩვენ მზადება სამ ეტაპად გავიარეთ. დაიწყეთ ბაკურინი, სადაც ფიზიკურ მომზადებაზე გავაკეთეთ აქცენტი. მომდევნო ორ შეკრებაზე, ანთალიაში კი უკვე ფიზიკიდან ნელ-ნელა ტექნიკა-სტრატეგიაზე გადავიდით. ანთალიაში 8 მახანაგური მატჩი გაუმართეთ, 4 მოვიგეთ და 4 წაგავით. ამ შესხვედრებში ჩვენი პლუს-მინუსი ნათ-

ლად გამოჩნდა. ბუნებრივია, ნაკლის აღმოფხვრაზე მუშაობა გავაგრძელებთ და კვლავაც ვეცდებით ამ პრობლემის მოხსნას. შემოძლია გითხრათ, რომ მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ.

- ორი უცხოელის გარდა, გუნდში მესამეცაა - ჩერნოგორიელი ფორვარდი ილია სპასოვიჩი. მასზე რას გვეტყვით?

ბუბა ტყავაძე - ჩვენ გვაქვს მისი დატოვების სურვილი და თავად ამ ფორვარდსაც სურს, "დინამოში" ითამაშოს. ასე ვთქვათ ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი და მალე ყველაფერი გაცხადდება.

- გუნდი სეზონის დაწყებიდან 4-5 ტურის მერე ჩაიბარეთ. ზამთრის პაუზისას უშუალოდ თქვენ მოამზადეთ გუნდი და რამდენად მზად ხართ იბრძოლოთ მაღალი მიზნებისთვის, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობამ დაგისახათ?

დ. უ. - როგორც გითხარით მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ. ჩვენ გუნდი რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელით გავამდიერეთ და მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. იმედი მაქვს, შევძლებთ კიდევ მიზნის მიღწევას.

- მიმდინარე სეზონის პირველ წრეში "დინამო" საშინაო მატჩებს მიხედვით მესხის სახელობის სტადიონზე მართავდა. ისევ ამ არენაზე ითამაშებს გუნდი თუ ეროვნულ სტადიონზე?

ბ. ტ. - "მესხის" სტადიონის ხელმძღ-

ვანელობა ცუდად ნუ გამოგებს, მაგრამ არ მეგულება საქართველოში გუნდი, რომელსაც ეროვნულ სტადიონზე არ უნდოდეს თამაში. იქ საფარაც უკეთეს მდგომარეობაშია. თუმცა მისი საიჯარო თანხა დიდაა და არ გვიღირს.

- ეროვნულ სტადიონის დირექტორმა ირაკლი მექმარიაშვილმა განაცხადა, რომ "დინამოს" მიმართ გარკვეული შეღავათები იქნება...

ბ. ტ. - თუკი ვიგრძნობთ ამ შეღავათებს, მაშინ სიამოვნებით გავმართავთ საშინაო მატჩებს ეროვნულ სტადიონზე.

- რა ბედი ელით კაკალაძეს, სტურუასა და გრიგალაშვილს?

დ. უ. - კაკალაძეს სხვა გუნდში გავანათხოვებთ. იგივე შემოძლია გითხრათ სტურუაზე. ის ცუდი მეკარე არაა, მაგრამ გუნდში სამი გოლიკიპერი გვყავს. გრიგალაშვილის გარდა ახალგაზრდა მეკარეები ლორია და მაკარიძეც გამოირჩევიან. გრიგალაშვილი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მე ისეთი ფეხბურთელი მინდა, რომელიც გუნდისთვის ითამაშებს.

- "დინამოს" სერგი ორბელაძეც დაუბრუნდა. ანთალიაში ფორვარდი ირაკლი სირბილაძეც იახლეთ. მათზე რას გვეტყვით?

დ. უ. - სირბილაძის პრობლემა ისაა, რომ გვიან შემოგვიერთდა. ჩვენ უკვე გავლილი გვექონდა ორი მოსამზადებელი შეკრება და ამიტომაც კონკურენცია ვერ დაძლია. თუმცა მის საკითხს ცალკე განვიხილავთ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მალე მივიღებთ.

რაც შეეხება ორბელაძეს, მას ტრავმები ანუხებდა და სამწუხაროდ ისიც გვიან შემოგვიერთდა. ის ჯერ კიდევ არაა ფორმაში. ჩვენ კი ისეთი ფეხბურთელი გვჭირდება, რომელიც 18 თებერვლის სათასო მატჩისთვის მზად იქნება.

- სელექციით რამდენად კმაყოფილი ხართ და კიდევ ხომ არაა პოზიციები დარჩენილი, რომლის გაძლიერებასაც ისურვებდით?

დ. უ. - ჩვენ გვიანდა თითოეულ პოზიციაზე ორი კარგი ფეხბურთელი გვყავდეს. სასოველია და სირბილაძის საკითხი მალე გადაწყდება და ყველა პოზიცია გაძლიერებული გვექნება.

- 18 თებერვალს თასის 1/4 ფინალში "ამერს" დაუპირისპირდებით. მეტოქეზე რას იტყვით?

დ. უ. - ზამთრის პაუზისას "ამერის" ერთი თამაში ვნახე. საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს, მეტრძოლი და აგრესიული.

- "ამერი" თასის მფლობელია. ტიტულოვანი გუნდის წინააღმდეგ თამაში ყველასათვის პრესტიჟულია და ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაციისთვის სპეციალურ პრემიას ხომ არ დაუნიშნავთ?

დ. უ. - პრემიალური ჩემი პრეროგატივა არაა. დროის მცირე მონაკვეთში ჩვენ სამი მატჩი გველის "ამერთან" და გვიანდა, სამივე შეხვედრა ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულოთ.

- ახალი ფეხბურთელები რას განიცდიან და რას ნიშნავს მათთვის "დინამოში" თამაში?

დავით დიღმელაშვილი: "დინამოში" თამაში ყველა ქართველისთვის დიდი პატივია. რაღა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაცაა. გუნდის კაპიტანი ვარ და ამ პასუხისმგებლობასაც გაორმაგებულად ვგრძნობ. ყველანაირად ვეცდები, იმედი გავამართლო და წარმატებული თამაშით გუნდს სარგებელი მოუტანო.

- №81-ის არჩევა რითი ავხსნათ?

- "ვით გორჯიში" ასპარეზობისას 18 ნომერი ვიყავი. "დინამოში" ეს ნომერი დაკავებულია, დავით ოდიკაძეს აქვს. №81 კი იმიტომ ავირჩიე, რომ 18-ის შებრუნებულია. ამას გარდა, დღემდე, "დინამოს" და საერთოდ ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი წარმატება სწორედ 1981 წელს უკავშირდება.

გიორგი ფეიქრიშვილი: გახარებული ვარ. იმ მიზნებისთვის მაქსიმუმს ვავილებთ, რომელიც "დინამოს" ეკადრება. მართალია, "დინამო" მისთვის უწყვეტო პოზიციაზეა, მაგრამ ჩვენ ტიტულებისთვის ვიბრძვით და მისი მოპოვებაც შეგვიძლია.

მიროსლავ კრშკო: ბედნიერი ვარ, რომ დინამოელი ვაგხვდი. ახალ კლუბში თამაში ჩემთვის ახალი მოტივაციაა. მინდა, "დინამოსთან" ერთად ჩემპიონობა და თასი მოვიპოვო.

ნედ ზელიჩი: უკვე ერთი თვეა, რაც საქართველოში ვარ. აქ ყოფნა და "დინამოში" თამაში მსიამოვნებს. ჩვენ ყველა თამაშში მოსაგებად გავალთ მოედანზე და მჯერა მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში "დინამოს" კარგი შედეგები ექნება.

დავით ცაბაძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

შაშიაშვილის სამი პარტიანი

კახა მჭავანაძე არსენალში გადადის?

მოდის "ჩერნომორეცმა" გიორგი შაშიაშვილსა და კახა მჭავანაძეს ახალი გუნდის მოძებნა რომ ურჩია ეს უკვე გაცნობეთ. იმასაც ვნერდით, რომ შესაძლებელი იყო, შაშიაშვილს სეზონის ბოლომდე თბილისის "დინამოში" ეთამაშა. გიორგი ოროდე დღით ოდესაში იმყოფებოდა და გუშინ სამშობლოში დაბრუნდა. მისი მდგომარეობით დავინტერესდით და გუშინ დაუკავშირდით კიდევ.

"დაიხ, ოდესაში მართლაც ვიყავი და "ჩერნომორეცის" პრეზიდენტს ვესაუბრე. თუკი თბილისის "დინამოში" გამა-

ნათხოვრებენ, უკრაინელები ჩემი იჯარისთვის "დინამოს" თანხას არ მოსთხოვენ. ასევე სხვა პირობებზეც შევთანხმდით. გადაჭრით ჯერ კიდევ ვერ გეტყვით, სეზონს აუცილებლად "დინამოში" ჩავამთავრებ-თქო. "ჩერნომორეცის" პრეზიდენტმა მითხრა, ერთი უკრაინული და ერთი რუსული (უმადლეს ლიგაში მოსაპარეზე) კლუბია შენით დაინტერესებული და მოლაპარაკებებიც დაწყებულია. გუნდები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ის კი ვუთხარი, რომ 18 თებერვალს საქართველოში

სეზონი განახლება და მანამდე უნდა გავარკვიო ჩემი საკითხი-თქო. ერთი სიტყვით, შევთანხმდით, რომ მაქსიმუმ 17 თებერვალს "ჩერნომორეცის" ხელმძღვანელობამ პასუხი უნდა მითხრას.

როგორც გავიგე, ჩემით დაინტერესებულ უკრაინულ და რუსულ კლუბებს ჩემი შესყიდვა უფრო სურთ ვიდრე იჯარა. ოდესელები კი ამისი წინააღმდეგ არიან. შესაბამისად, იმის შანსი უფრო მეტია, რომ დროებით "დინამოში" დავბრუნდე, მაგრამ 17 თებერვლამდე მინც პასუხს ველი", - გვითხრა გიორგი შაშიაშვილმა.

მის გარდა კახა მჭავანაძის ბედიც გვინტერესებს. ჩვენი ინფორმაციით ოდესელებმა, შესაძლოა, კახა, სეზონის ბოლომდე, კიევის "არსენალში" გაანათხოვონ. შაშიაშვილს ანაზეც დავეკითხეთ, მაგრამ გადაჭრით ვერაფერი გვითხრა:

"ჩერნომორეციდან" კახა მჭავანაძის განათხოვრებაზეც მიდის მუშაობა. შესაძლოა, მისით მართლაც "არსენალი" დაინტერესებული, მაგრამ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით."

დავით ცაბაძე



გიორგი შაშიაშვილი

ფეხბურთი

დილა

ყველა მატჩი გალაგნებული იქნება

საზონის განახლებისთვის მოსამზადებელი ეტაპის მიზნულს "დილის" მწვრთნელებმა მამუკა ვარდოსანიძემ და ვლადიმერ ელიაურმა თითქმის დაასრულეს გუნდის დაკომპლექტება. გუნდი მეორე წრეში შეეცდება პირველ წრეში უყურადღებობის გამო მოტანილი დანაკლისის ანაზღაურებას. მამუკა ვარდოსანიძეს გუნდში ვენვიეთ სწორედ მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარებულ სამუშაოზე ევაუბრეთ.

- რამდენად ნაყოფიერად მოეშაბა და "დილა" მეორე წრისთვის?
- პრეზიდენტიდან დაწყებული კლუბის თითოეულმა წევრმა, როგორც იტყვიან, მულჩაუხრულად იბრძოდა. ძნელ საქმეს შევეჭიდეთ, თუმცა არა გადაუჭრელს. გუნდი 8 იანვარს შეიკრიბა. ვარჯიშებს მეორე დღიდან შევუდევით, 18 იანვრიდან გადავედით ორჯერად ვარჯიშებზე და ამხანაგური მატჩების თამაშზე დავინწყეთ. დღემდე სულ ხუთი შეხვედრა ჩავატარეთ (ერთი მოგება, ერთი ფრე, სამი წაგება).

ცხადია ეს ამხანაგური შეხვედრები ჩვენს შესაძლებლობებზე ბევრს არაფერს მეტყველებს. ჩვენთვის მთავარი იყო თამაშის ხარისხი. "დილა" ფაქტობრივად ხელახლა ყალიბდება და რასაკვირველია ახალი ფეხბურთელების გამოცდას დიდი დრო დაეთმო. "ოლიმპთან" წაგებულ მატჩში, მაგალითად, უმეტესწილად ისეთი ფეხბურთელები ვათამაშეთ, რომლებს გორში გასინჯვაზე იმყოფებოდნენ და სხვათა შორის მათგან ვერცერთმა ვერ მოგვაწვანა თავი.

- გუნდი უკვე დაკომპლექტდა?
- ძველი შემადგენლობის 12 ფეხბურთელი გაუშვიეთ. საქმე, ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო და ვცდილობთ ახალგაზრდებზე დაყრდნობას. უმეტესობა 20 - 21 წლის ბიჭები გვყავს, ყველაზე გამოცდილი გუნდში გიორგი ჩიტაიაა. შეკრების დაწყებიდან დღემდე დაახლოებით 30 კაცი გასინჯა. ვერჯერობით რევაზ თევდორაძის, ვაჟა ლომიშვილის, ბექა და გიორგი ჩიტა-

იებისა და კობა და დათო ხანიშვილების დარჩენა ბოლომდე გადაწყვეტილი. საერთოდ კი ამჟამად გუნდი 90 პროცენტითაა დაკომპლექტებული.

- რომელი რგოლის მოთამაშე სჭირდება დღევანდელ "დილას" ყველაზე მეტად?

- ვცდილობთ, მოენახთო მცველი და თავდამსხმელი. განსაკუთრებით შეტევაში გვიჭირს.

- ლიგაში დასარჩენად ბრძოლაში უშუალო კონკურენტად რომელ გუნდს მიიჩნევთ?

- მთელმა ქართულმა საფეხბურთო სამყარომ იცის, რომ პირველ წრეში, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა, ანუ ყველაფერი გაკეთდა, რათა "დილა" გავარდნილიყო უმაღლესი ლიგიდან. ძნელი იქნება დარჩენა, მაგრამ ვიბრძობებით. უშუალო კონკურენტებად საჩხერის "ჩიხურას" და "ბათუმს" ვთვლით.

- როგორც ვიცით, არც მეორე წრის სატურნირო კალენდარია თქვენთვის სახარბიელო.

- ჩვენთვის მართლაც ძალიან ცუდი კალენდარია. თავად განსაჯეთ. პირველ ტურში უშუალო კონკურენტს "ბათუმს" ვეთამაშებით სტუმრად. საერთოდ, პირველ ოთხ ტურში კი სამი თამაში სტუმრად გვინევს. როცა ახალი გუნდია ჩამოყალიბებული, შეთამაშებასაც სჭირდება გარკვეული პერიოდი. სტარტიდანვე დიდი ოფისილერა მოგვინევს, ისე კი ჩვენთვის აბსოლუტურად ყველა მატჩი გადამწყვეტი იქნება. უმაღლესი ლიგის დატოვება მეტისმეტად რეალური ჩანს. ამ სიტყვებით თავს არ ვიზღვევთ, მაგრამ თუ მაინც და მაინც ვერ გადავრჩით, ტრაგედიას არც ამაში ვხედავ. გაისად აუცილებლად დაგვრუნდებით ელიტაში. ამ ეტაპზე კი სახეზე ისაა, რომ "დილა" ტოლს არავის დაუდებს და თავს არ დაზოგავს რათა მომავალ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვოს.

ვასილ ბალახაძე
გორიდან



მამუკა ვარდოსანიძე

ოლიგა

ალავერდაშვილი რუსთაველი

თბილისის "ლოკომოტივის" 18 წლის თავდამსხმელი გიორგი ალავერდაშვილი მთელი ზამთარი ახალი კლუბს ეძებდა. ვერ კიევის "არსენალში" მონყობით აიგდებდა მენეჯერი, შემდეგ ბოლნისის "სიონში" გადასვლის შესაძლებლობა გაუჩნდა, მაგრამ არც ერთი გამოვიდა და არც მეორე.

უკრაინაში მენეჯერმა ვერ ნაიყვანა, "სიონში" კი ძირითადად მოხვედრის მცირე შანსი ჰქონდა და ნასვლა არ უღირდა.

გუნდში კი ფეხბურთელმა გვითხრა, რომ რუსთავის "ოლიმპში" დანიყო ვარჯიში. თუმცა შესაძლოა, ესეც არ იყოს მისი საბოლოო გარეგნება. ალავერდაშვილს ლიტვის ჩემპიონი "კაუნასიცი" ინვეს და ბალტიისპირეთში წასვლასაც არ გამორიცხავს.

18 წლის თავდამსხმელი თბილისის "ლოკომოტივის" საკუთრებაშია, რუსთავის "ოლიმპში" ჩარიცხვის შემთხვევაში კი, იჯარით ითამაშებს.

მერაბ მამულაშვილი



გიორგი დათუნაშვილი

ვიტ ჯორჯია

ალანას მოუგას

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ვეტერინარმა გუნდის მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს. მათი მეტოქე ვლადიკავკაზის "ალანა" იყო. "ვიტ ჯორჯიამ" მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა, მონინალმდევის კარი გიორგი დათუნაშვილმა დალაშქრა.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, შეხვედრა ქართველთა უპირატესობით წარიმართა და საგოლე მომენტები სრულად რომ გამოეყენებინა, "ვიტ ჯორჯია" უფრო სოლიდური ანგარიშით გაიმარჯვებდა. კარგი საგოლე შანსები გაუშვეს ხელიდან ლუჭაშვილმა და კიკნაძემ.

"ვიტ ჯორჯიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბედიანაშვილი (46. მიქაბერიძე), კვახაძე (46. ადამაძე), პ. დათუნაშვილი, ლომია, ჯაფარიძე (82. კაიშაური), გ. დათუნაშვილი (75. იმერლიშვილი), რაზმაძე (75. ბექვაია), კვლინიძე, სახოკია (46. კიკნაძე), ლუჭაშვილი (46. ბერიაშვილი), მეტაძე (67. ლიპარტია).

საქართველოს ვიცე-ჩემპიონები მორიგ ამხანაგურ შეხვედრას ბელარუსის "ნავტანთან" ჩაატარებენ, თბილისში კი 17 თებერვალს დაბრუნდებიან.

ლევან ჯანაშვილი

სიონი


სანიკიძე ბოლნისში

ბოლნისელთა მორიგი ახალწვეული, ნახევარმცველი ლევან სანიკიძეა. "სიონის" სხვა ახალ წევრთა მსგავსად, გუნდის ღირსებას ისიც სეზონის ბოლომდე დაიცავს, რის შემდეგაც ხელმძღვანელობა მას, ალბათ, ახალ ხელშეკრულებაზე ჩამოუდგებს სიტყვას. შეგახსენებთ, სანიკიძე პირველ წრეში საჩხერის "ჩიხურას" ღირსებას იცავდა. მანამდე "სიონმა" ლევან სილაგაძე, ვიტალი დარასელია, ზურაბ მამალაძე, შოთა ბაბუნაშვილი, ლევან კორღალიძე და ზურაბ ექონია გადაიბირა, რაც მთლიანობაში, საკმაოდ დიდი ძალაა.

გუნდის კახა ცხადაძემ და მისმა შეხვედრებმა თბილისი დატოვეს და ოფიციალური მატჩებისთვის სამზადის ბოლნისში განაგრძობენ. პირველი სათასო მატჩი "სიონს" 18 თებერვალს, შინ, იძულებით გაახალგაზრდავებულ საჩხერის "ჩიხურასთან" ელის, რის შემდეგაც ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ "ოლიმპს" ესტუმრება.

სეზონის განახლებაზე "სიონი" საკონტროლო მატჩს აღარ გამართავს.

ლევან ჯანაშვილი



კახა ცხადაძე

ლეგიონერი

ბაქი მებრეალაძის ბარეშა

ბანახლდა აზერბაიჯანის საფეხბურთო ჩემპიონატი. მოგესხენებთ, ჩემპიონატში 13 გუნდი თამაშობს, ასე რომ ერთპიროვნულ ლიდერ ლენქორანის "საზარს" არ უთამაშია. მიუხედავად ამისა, ვალერი აბრამიძე და კომპანია 29 ქულით უკანასკნელი ტურის შემდეგაც ლიდერად რჩება. აზერბაიჯანის ჩემპიონმა "ბაქიმ" ჩემპიონატი უგოლო ფრით განაახლა, ბუიუქალაგაჯიევის კლუბი "ოლიმპიკს" ეწვია. არ უთამაშია "ბაქის" ახალწვეულ ამირან მუჯირს, რომელსაც ტრავმა ანუხებს, სამაგიეროდ ითამაშა ალექსანდრე გოგობერიშვილმა. აზერბაიჯანელ-

თა ინფორმაციით კლუბის რიგებში აღარ ირიცხება გიორგი მეგრულაძე. ის გუნდიდან წასვლების სიაშია მოხსენებული.

გიორგი ადამიას "ნეფთჩი" ერთ-ერთ აუტსაიდერ "გენჩლერბირლის" ესტუმრა. მოულოდნელად, სტუმრებმა გაჭირვებით იმარჯვეს. გიორგიმ 90 წუთი ითამაშა. "თურანმა" შინ 3:1 დაამარცხა "სიმურგი". მასპინძელთა მცველმა ირაკლი ვაშაკიძემ შეუცვლელად ითამაშა. იაკუბო ბამბას დუბლით "ქარვანმა" 2:0 დაამარცხა "ყარაბაგი". მასპინძელთა ქართული ტრიოდან სასტარტოში მხოლოდ ალექსანდრე ინკირ-

ველი იყო. გოჩა ტრაპაიძე კი მოედანზე 75-ე წუთზე სწორედ მატჩის გმირ ბამბას ნაცვლად გამოიწვია. სტუმართა რიგებში 57-ე წუთამდე ითამაშა გოჯა ბერაიამ. ბერაიამ თავდასხმის ხაზში ითამაშა. "გილანი" "ინტერს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა.

გაგაცნობთ იმ კლუბთა მდგომარეობას, სადაც ქართველები თამაშობენ: 1. საზარი - 29 ქ. 4. ნეფთჩი - 24. 5. ქარვანი - 24. 6. ბაქი - 22. 8. თურანი - 17. 9. ყარაბაგი - 15. 11. გილანი - 8. ყველა გუნდს 13-13 მატჩი აქვს გამართული, ლიდერის გარდა.

ნიკოლოზ ნაშარიძე

CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბოთბაზოთ სატილგაოიუნიაკიო მომსახურების სრულ პაკეტს:

- CDN ინს ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
- CDN უნეს ტელეფონის დადგმა;
- CDN მ-სს კავშირი ყველგან და ყოველთვის;
- GIGACARD ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
- CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

განმავლობაში 24 საათის უწყვეტი მომსახურება

- ტექნიკური მხარდაჭერა
- გარანტირებული ხარისხი
- გადახდა ჩხლიდან გაუცვლელი

სატელეფონო საუბრების წამობრვი აღრიცხვა! მხოლოდ ოპტიკურ-ბოქოვანი ტექნოლოგიები!

დაარსდა, შუშკაბეთი, ჩაბრთი

ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com


გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოვიღებთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

ფეხბურთი



გაუფრთხილდით სტადიონს!

რას ერიდით სტადიონს? თურქეთთან სკამები დაამტკრიეს

რომორც ჩანს, საქართველოში ფანების, უფრო სწორად კი სტადიონზე მისულთა ნაწილის ხულიგნობა წესად მკვიდრდება.

საქართველოს ჩამოყალიბდა სახელი ქვეყნისა, რომლის სტადიონებზეც სტუმრებს ესვრიან ბოთლებს (თურქეთთან), რკინის საგნებს (ირლანდიასთან), ყინულის გროვას (ლიტვასთან) და ა.შ.

ფიფამ და უეფამ არაერთხელ დაგვინდო და მხოლოდ მცირე სასჯელი გვაკმარა. თუმცა თურქეთსა და ინგლისს არ პატიობენ მეტისმეტს და პატიარა, ღარიბ საქართველოს მით უფრო

არაფრად გადაუსვამს თავზე ხელს.

ახლა კი იმაზე თურქეთში დაგინწყეთ საუბარი ამ თემაზე. თურქეთთან მატჩის დროს ეროვნულ სტადიონზე 237 ინდივიდუალური სკამი დაიმტკრა. თანაც ისე, რომ მათ ადგილზე ხელახლა ყველაფერი დასამონტაჟებელი.

ასევე მოხდა საფრანგეთისა და იტალიის შემდეგ. მაშინ ჯამში 250-დე სკამი დაამტკრიეს. საოცარი სტატისტიკაა, თურქეთთან მოგებით გამონეწული სიხარული ამ ვითომ გულშემატკივრებმა სკამების დამტკრევეთ აღნიშნეს.

თითქოს არაფერია, არადა დაახლოე-

ბით 500 სკამამდე დაიტკრა. ეს კი სადღაც ოთხი ათასი დოლარის ზარალია.

სტადიონზე რაც არ უნდა გაამკაცრონ კონტროლი, თუკი ადამიანებმა საკუთარი ცხოველური ინსტინქტები არ მოთოკეს, ყოველწლიურად სტადიონი გვარინად იზარალებს. სტადიონზე დამონტაჟებული ვიდეოკამერებზე, როგორც შევითქვით, ამ "გმირული ოპერაციის" მონაწილეები დაფიქსირებულები არიან და მათ პასუხი მოეთხოვებათ.

ასე რომ, დანაწარმით და უფრთხილდით ვიდეოთვალს!

დათო მუშარიაშვილი

ლეგიონერები

მოთაგაშე ალაღაშვილი

კახა ალაღაშვილმა უკვე მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა კიევის "დინამოს" რიგებში. პირველად გერმანიის ნაკრებთან, 12 თებერვალს კი პაიფას "აპოლის" წინააღმდეგ.

შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. აქტიური იყო თუ არა, როგორ გამოიყურებოდა და მისთანებზე არაფერს წერენ. კახა 77-ე წუთზე ეშჩენკომ შეცვალა, რომელიც მის უშუალო კონკურენტად მოიაზრება.

ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, დარჩება თუ არა ალაღაშვილი კიევის "დინამოში".

გუნდის ხელმძღვანელობა ახლა მას საბოლოოდ ამოწმებს. "დინამოს" პრეზიდენტის იგორ სურკისის თქმით, უკრაინაში ლეგიონერების შემცირებისკენ მიმდინარე პროცესი მის გუნდზეც აისახება: "ჩვენთან ძალიან ბევრი ლეგიონერია. ბუნებრივია, ბევრ მათგანს დავეშვიდობებით. ვინც ძირითადად ვერ ხვდება, გამოდის, გუნდს არც სჭირდება. მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ მათ გვარებს დავასახელებთ".

რომელ სიაში მოხვდება კახა ალაღაშვილი და "დინამო 2-ში" გადაყვანილი დათო იმედაშვილი, ძნელი სათქმელია.

მერაბ მამულაშვილი

ამისულაშვილის პირველი მატჩი

ალაქო ამისულაშვილმა ნაღიკის "სპარტაკის" შემადგენლობაში პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ყაზბარდო-ბალყარელებმა ანთალიაში უკრაინულ ლუცკის "ვოლინი" დიდი ზეგარბით დაამარცხეს 3:0.

ალეკო ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა და მეორე ტაიმში, ისევე როგორც ძირითადის უმრავლესობა, შეცვალეს.

როგორც შევითქვით, ამისულაშვილს ნაღიკელებთან დღემდე კონტრაქტი არ გაუფორმებია და ვითარების გარკვევას ელის.

ქაზბეგი ტრანსფერზე

მოსკოვის "ტორპედომ" 14 ფებრუარული ტრანსფერზე დააყენა. სიაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბექა ფლენტის გვარიც ამოვიკითხეთ.

ოთხი მოთამაშე სხვაგან იჯარით ითამაშებს, სხვებს კი დამოუკიდებლად მოუწევთ გუნდის მოძებნა. მათ შორისაა ფლენტი. მან თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ 7 თებერვალს ითამაშა. მძიმე ტრავმის შემდეგ, ეს ბექასთვის პირველი თამაში იყო და ბუნებრივია, თავის გამოჩენა ვერ მოახერხა. იგი ახლა ინყებს სრულყოფილად ვარჯიშს და ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, გუნდის მონახვა ძალიან გაუჭირდება.

ეს ამბავი ბექამ ჩვენთან შეიტყო და გაუხარდა: "ტრანსფერზე დამაყენეს? ეს ჩემთვის არც უთქვამთ და რომ იცოდეთ, ძალიან გამიხარდა. "ტორპედოში" დარჩენა ისედაც არ მსურდა და ახლა უკვე ვეღარ გამაჩერებენ. მთავარია, დიდი საკომპენსაციო თანხა არ მოითხოვ-

ვონ. ამის შანსი კი არსებობს. "ტორპედოს" დუბლებს სკამზე დასმულ ფებრუარული კალინინგრადის "ბალტიკას" 100 ათასი დოლარი მოსთხოვეს და დარწმუნებული ვარ, ჩემში გაცილებით მეტის ალბათს მოინდომებენ. ამის მიუხედავად, მოსკოვში ჩავალ და კონტრაქტის განყვეტაზე დაველაპარაკებ".

როგორც აღმოჩნდა, ბექას თურქეთთან ფეხმტკივანს უთამაშია: "მეორე დღეს სასწრაფოდ ოპერაცია გამიკეთეს. ფრჩხილი მქონდა ჩაბრუნებული და ორი კვირა ამის გამო გამიცდებდა. ცალკე დიდი ხნის უთამაშებლობა, ცალკე წონა და ცალკე ფეხის ტკივილმა ხელი შემიშალა თურქებთან. თუმცა, ამის მიუხედავად, დაუჯერებელი კი არის, მაგრამ ბურთის შეგრძნება არ მქონდა და კარგული. მოედანზე გასვლა ფსიქოლოგიურად დამეხმარა. მალე ვარჯიშს დაიწყო და ზაფხულისთვის მალე ფორმას აღვიდგენ".

მერაბ მამულაშვილი

დნეპრში ქართულად არ უთამაშიათ

"დნეპრმა" მორიგი ამხანაგური მატჩი "ცრენა ზედასთან" 1:1 დაასრულა. უკრაინელთა შორის არც ერთ ქართველს არ უთამაშია. რეზო პარაბაძე სათადარიგოებში იყო, ხოლო ჯაბა კანკავამ თავი ცუდად იგრძნო და მწვრთნელმაც დაასვენა.

გიორგი ქელიძემ თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის დროს

კოჭი იტკინა. თუმცა ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ახლა გიორგი თურქეთშია და მოსკოვის "ლოკომოტივთან" ვარჯიშობს. მას იური სიომინმა გუნდიდან წასვლაზე საბოლოოდ უთხრა უარი. გიორგი ამჟამად დუბლებთანაა და გუნდის რუმინულ "ოტოპენთანაც" ითამაშა პირველი ტაიმი.

მერაბ მამულაშვილი

გუნდი	მიღიან	მოღიან	მზაღაზა
ოლიმპი	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელი), რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეია (ამერი), სირბილაძე, ხოზონიშვილი, შიშინაშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?)	რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო), ვ. კილასონია (მწვრთნელი), მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოციორიძე (კამაზ, რუსეთი), არხიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო), ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო)	თბილისი
ვიტ ჯორჯია	დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო),	კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი)	თბილისი, თურქეთი
აპარი	ჩანგელია (უკრაინა), კვეციანიშვილი, სილაგავა, სევესტოპოლო	მესხი (ჩიხურა), ნაჭყეია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი
ჯანსუფონი	იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე	რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ყონატასი	თბილისი, თურქეთი
ლინაომ	ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?), ნავალოვსკი (ოლიმპი), ნერგაძე, გიგაური	დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტები) კრშკო (ფილიპინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე	ბაკურიანი, ანთალია
ტორპედო	ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ლონაძე (ლოკომოტივი)	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელი), კ. კვეციანიძე, მერკვილაძე, ხურცილაძე,	ქუთაისი, თბილისი
სიომი	სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ქიჭვილიშვილი	მამალაძე (ჩიხურა) სილაგავა, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორალაძე	დსთ-ის თასი, თბილისი
ლოკომოტივი	ყენია (ლევანტი, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიძე, ალავერდაშვილი	სოსელია, ნუნუაძე (კახეთი), მ. ლონაძე (ტორპედო)	ურეკი
ბორჯომი	ნკემი, მონღუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე	კვეციანიძე, კიდარაშვილი, კომკაძე (ბათუმი), ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარეშვილი (ორივე დილა)	ბორჯომი
ბარიანი	ბესარაშვილი (ბათუმი)	ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), ქემოკლიძე, თედორაძე (ჩიხურა)	თბილისი, გურჯაანი
რიხურა	ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა		
ბათუმი	ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ლობჯინაძე, ნაჭყეია	ჩარგვიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე)	ბათუმი
ილია	ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამუკანაშვილი (მწვრთნელი)	ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელი), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია	გორი, თბილისი
კახეთი	ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კვეციანიშვილი, სოსელია, ნუნუაძე (ლოკომოტივი), კვეციანიშვილი (მერანი),	კუპრაშვილი (გურჯაანი) მელოვი, ვ. მერებაშვილი,	თელავი

სტენმარკის აღიარება



ანია პერსონი

ნარსულში ლეგენდარული სამთო მოთხილამურე, შვედი ინგემარ სტენმარკი აღიარებს, მიღწევებით ანია პერსონმა მას უკვე გადაასწრო და მას ყველა დროის საუკეთესო შვედ სამთო მოთხილამურეს უწოდებს.

უნდა ითქვას, რომ სტენმარკის დროს, ოთხ ნელინადმი ერთხელ, მსოფლიოს ჩემპიონატები და ოლიმპიადები ერთმანეთს ემთხვეოდა. ამდენად, ასეთ გაერთიანებულ ტურნირზე, ერთ რბოლაში ერთბაშად ორი მედლის მოპოვება შეიძლებოდა. ჰოდა, სტენმარკს თავისი შვიდი ოქროსა და ორი სწორედ ერთ ტურნირზე აქვს მოპოვებული. ამდენად, მისი შვიდი ოქრო რეალურად ხუთის ტოლფასია. ასეც რომ არ იყოს, პერსონმა დიდ ტურნირებზე უკვე ოქროს რვა მედალი მოიპოვა.

სხალი ხაზი

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანებში სტენმარკმა მსოფლიოს თასზე მრავალი მოიგო. გარდა ამისა, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე ოქროს შვიდი მედალიც აქვს მოპოვებული. ყოველივე ამის გამო, ის თავისი ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო სამთო მოთხილამურედა მიჩნეული. მაგრამ თავად ასე აღარ თვლის და ამბობს, რომ 25 წლის პერსონმა უკვე გადაასწრო მას.

„ახლა უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ანია ჩემზე დიდი მოთხილამურეა“, - შვედურ გაზეთ „აფტონბლადეტთან“ საუბრისას განაცხადა სტენმარკმა. სხვათა შორის, სტენმარკიცა და პერსონიც წარმოშობით ერთი ქალაქიდან, ტარნაბოდან არიან.

უნდა ითქვას, რომ სტენმარკის დროს, ოთხ ნელინადმი ერთხელ, მსოფლიოს ჩემპიონატები და ოლიმპიადები ერთმანეთს ემთხვეოდა. ამდენად, ასეთ გაერთიანებულ ტურნირზე, ერთ რბოლაში ერთბაშად ორი მედლის მოპოვება შეიძლებოდა. ჰოდა, სტენმარკს თავისი შვიდი ოქროსა და ორი სწორედ ერთ ტურნირზე აქვს მოპოვებული. ამდენად, მისი შვიდი ოქრო რეალურად ხუთის ტოლფასია. ასეც რომ არ იყოს, პერსონმა დიდ ტურნირებზე უკვე ოქროს რვა მედალი მოიპოვა.

არეში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე, პერსონმა უკვე ოქროს სამი მედალი მოიპოვა (სუპერგინჯანტში, სუპერკომბინაციაში და დამოუკიდებელი რგორც სტენმარკი ირწმუნება, დარჩენილ ორ დისციპლინაშიც (გიგანტური სლალომი და სლალომი) შეუძლია გამარჯვება. ამგვარად, დიდ ტურნირებზე მოპოვებული რვა ოქროსა და ორი სწორედ ერთ ტურნირზე აქვს მოპოვებული. ამდენად, მისი შვიდი ოქრო რეალურად ხუთის ტოლფასია. ასეც რომ არ იყოს, პერსონმა დიდ ტურნირებზე უკვე ოქროს რვა მედალი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ რაც ოცი წლის წინათ მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამაში კომბინაცია (ახლა სუპერკომბინაცია) შეიტანეს, პერსონი პირველი მოთხილამურეა, ვისაც ხუთივე დისციპლინაში აქვს მოპოვებული ოქროს მედლები. მის მიღწევას უკვე ანიას სლემდაც მოიხსენიებენ.

დაკიდევ, ამ სეზონში, მსოფლიოს ჩემპიონატამდე, პერსონს ერთი რბოლაც არ მოუგია. გიგანტური სლალომის ოთხი რბოლიდან კი მხოლოდ ორის დასრულება შეძლო და ამ ორიდან საუკეთესო შედეგი მეექვსე ადგილი ჰქონდა. მაგრამ არც ის უნდა დაგვამყნოს, რომ პერსონს წინა ორ ჩემპიონატზე გიგანტურ სლალომში ვერაფერს სჯობდა.

ტურინი). ოქროების გარდა, პერსონს სხვა მედლებიც აქვს. მათგან ორი ვერცხლისა და ოთხი - ბრინჯაოსი. ამგვარად, მისი მონაგარი მთლიანობაში 14 მედალია.

„ამით ანია არ გაჩერდება. მას ყველაფერი ვერაუდ აქვს და რამდენიმე მედალს კიდევ აიღებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ახლა შესანიშნავ ფორმაშია, არ გამიკვირდება, თუ დარჩენილ ორ ოქროსაც მოიპოვებს. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ჩემს რეკორდებს ამბობს, ეს მხოლოდ მახარებს. ოდესმე ვიდაც ამას აუცილებლად მოახერხებდა“, - ამბობს სტენმარკი, ვინც ასევე დარწმუნებულია, რომ ოდესმე პერსონი მის კიდევ ერთ რეკორდს გააუმჯობესებს - მსოფლიოს თასზე მრავლად გამარჯვებას მოიპოვებს.

უნდა ითქვას, რომ სტენმარკის გარდა, სხვაც ბევრი ვარაუდობს, რომ ანია არეში სამი ოქროთი არ დაკმაყოფილდება და შვედ ფანებს კიდევ გაახარებს თავისი გამარჯვებით. მაგრამ თავად მოთხილამურე ამბობს, რომ ახლა ამზე არ ფიქრობს, რადგან რეკორდებზე გამოდევნებით ბევრს ვერაფერს მიიღწევს.

„ზუსტი ოქრო აღბათ მეტისმეტი იქნება. ეს საკმაოდ თამამი ოცნებაა და ვცდილობ, ამაზე არ ვფიქრო. მთავარია, რბოლის დროს ვავაკეთო ის, რაც შემიძლია და თუ კიდევ მოვიგებ, ეს მხოლოდ იმის შედეგად იქნება, რომ კარგად ვირობო. ჩემპიონატის წინ არც ამ სამ ოქროზე ვფიქრობ, მაგრამ ხომ ხედავთ, მოვიპოვე. რა იქნება შემდეგში, წინასწარ ამის თქმა ძნელია. ერთი კი ვიცი, თუ რაიმე გარემოება ხელს არ შემისლის, მაქსიმალურად მომილიზებული ვიასპარებ“, - ამბობს პერსონი, ვისაც წინა ორ ჩემპიონატზე გიგანტური სლალომი ორჯერ, სლალომი კი ერთხელ აქვს მოგებული.

ბერაბ ლორთქიფანიძე

Table with TV sports schedule for 14 თებერვალი. Includes channels like SPORT 1 and EUROSPORT, and various sports events with their start times.

სხალი ხაზი

Table with tennis and badminton rankings. Columns include player names, nationalities, and their respective rankings in ATP, WTA, and other categories.

